

საქართველოს ცენტრალური ბიბლიოთეკი



K 29.076/3

საქართველოს სსრ მინისტრთა საგანგისთან ახდეგშილი კულტურულ-
საგანგანათლებლი დაწილებულებების საქმითა კომიტეტი
სსრ. მგრავილთა ისტორიულ-ითონგრაფიული სახალმწიფო მუზეუმი

K 29.076
3

საქართველოს ეგრეალოს ისტორიულ-
ითონგრაფიული სახალმწიფო მუზეუმის
გამოცენის მეზერი

სსრ. სახალმწიფო წიგნის პალატის ჩამომცველობა

საქართველოს სსი მინისტრის საგაოცენის ადგენერალი კულტურულ-
საზოგადო დაწესებულებების სამინისტრო

საქართველოს ეგრძელთა იურიდიკულ-
ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის
გამოცენის მიზანი

ଶ୍ରୀଦ୍ରାବନ୍ଦିନୀ ମ୍ହ. ପ୍ରଦୀପକାନ୍ତପାତ୍ରାଳୁଙ୍କାରୀ ଲେଖକ
ପ୍ରକାଶକ ପରିଷଦ୍ ପରିଷଦ୍ ପରିଷଦ୍ ପରିଷଦ୍

• K29.076


საქ. სახელმწიფო წიგნის პალატის ბარებებისა

ისტორიული განცოვილებები

1. უძველესი საქართველოს ეპრაელთა ისტორია უძვე-
 ცნობები საქართველოში მოსა-
 ხლე ეპრაელთა ნაჩვენებია ეპრაელთა კომპიქტური მოსახ-
 ხესახებ ლეონდის პუნქტები საქართველოში უძველე-
 ლესი დროიდან XIX საუკუნემდე. მეორე

ტენდენცია ექსპონირებული
 მასალები ასახელენ საქართველოს უძველეს დედაქა-
 ლაქ მცხეოაში არქეოლოგი-
 ფრიდრიხის ბაიერნის მიერ
 1872 წელს, სამთავროსა
 და ბებრისციხეს შორის აღმოჩენილ საფლავის ქვას
 ეპრაელი წარწერით, რო-
 მელიც პროფესორმა და-
 ნიელ აბრამის-ძე ხვოლისონ-
 მა ამოიკითხა და ჩვენი
 წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებით დაათარიღდა.

იმავე სტენდზე მხატ-
 ვარი მ. ჯაშის სურათი
 „თხოვნით მცხეთის მამა-
 სახლისთან“ გამოხატავს
 ეპრაელთა მიერ მცხეთის
 მიდამოებში დასახლების
 უფლების თხოვნას და აგე-
 ბულია ქართლის ცხოვრების
 შემდეგ ცნობაზე: „და
 გამოყდე, ამას შინა უამნი



სტ. 1. გამოუსის
 მეორე სტენდი.

მრავალნი. მაშინ ნაბუქოდო/ნო/სორ მეფემან წარმოსტყუნდა
იელუსალემი (sic) და მუნიც თრებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს
და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ზარკით-
მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქონდან
ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარჯითა, ამ ჰქონდან
ხერქ, ხარჯისა მისთვის“¹⁾)



სურ. 2. გამოფენის მესამე სტენდი.

საქართველოს ეპრაელთა შესახებ უფრო მოგვიანებითა
ცნობები, რომელებიც VI საუკუნის ქართულ პატიოგრაფიულ
ნაწარმოებ „ევსტათი მცხეთელის მარტვლობაში“, XI-XII

¹⁾ ქართლის ცხოვრება, ანა ღვაროვანისეული წუსხა, თბილისი, 1942
წ., გვ. 10.

საუკუნეების ებრაელი მოგზაურების: ბენიამინ ტუდილის, უკავახია ჩეგენის ბუგრელისა და იეპუდა ალ-ხარიზის მოგზაურობა—
თა აღწერილობებში და კიდევ ზოგიერთ სხვა პირველ წყაროში
გვხდება, წარმოდგენილია მესამე სტენდზე რუკით, ექსპლიკა-
ციებით, ტექსტებით და ფოტოსურათებით.

აქეე ნახენებია მცხეთის მახლობლად მშენებლობისათვის
წარმოებული მუშაობის დროს, 1938 წლის 8 სექტემბერს ნა-
პონი ლაპიდარული წარწერა ძველ ებრაულ ენაზე, რომელიც
ამოკითხულია პროფესიონალური გიორგი წერეთლისა და მეცნიერი
შეზიგის არონ კრისტელის მიერ. გამოფენაში ექსპლიკაციების,
ფოტოებისათვის და ილუსტრაციების სახით არის
მოტანილი კავკასიაში უძეველესი დროიდანევ ებრაელი მოსა-
ზლეობის არსებობის შესახებ სომები ისტორიკოსების—ფაუსტ
მიზანტიელის, მოსე ხორენელის, სებეოსის და არაქელ თავრი-
ზელის—ისტორიულ თხზულებებში მოცემული ცნობები.

გამოფენის მეოთხე სტენდზე ექსპონი-

2. კარაიმული რებული მასალები მოგვითხრობენ IX საუ-
ნექტა საქართვე- კუნის მეორე ნახევარში საქართველოს
ლოში ებრაელთა შორის წარმოშობილი კარაიმუ-
ლი მოძრაობის შესახებ, რომელმაც დაახ-


ლოებით XII საუკუნემდე იარსება და, რომელსაც „აცხაბ ალ-
თიფლისი“ ეწოდებოდა. ეს სექტა ბალდალიდან გადმოსახლე-
ბულ აბუ იმრანს (შემდეგში ალ-თიფლისად წოდებულს) ჩამო-
უყალიბებია და თალმედის კანონებზე უფრო მეცრი კანონების
დაწესებას ცდილი.

ამავე სტენდზე ექსპლიკაციებისა და ტაბულის სახით
წარმოდგენილია ქვეგანკოფილება „ქართველი ებრაელები,
როგორც სეფარადები“. ებრაელობა ორ ჯგუფად განიყოფება:
აშენაზებად და სეფარადებად. აშენაზების ჯგუფს მიეკუთ-
ვნებიან გერმანიის, პოლონეთის და ილმოსაველეთ ევროპაში
შოსახლე ებრაელები, სეფარადების ჯგუფს კი— ეპანეთიდან
გამოსული და წინა აზიაში მოსახლე ებრაელები. ქართველი
ებრაელები თავიანთ თავს სეფარადებად თელიან და სეფა-
რადელი რელიგიური წესებისა და ადათ-ჩერელებების მიმდე-
ვიანი არიან.

3. ხელნაწერი

ძეგლები.

ფეოდალურ ხანაში სეუარადებთან სა-
ქართველოს ეპრაელთა კულტურული და
რელიგიური ურთიერთობის დამადასტურე-
ბელი საბუთებია ქართველ ეპრაელობაში შემონაბეჭი და მუ-
ნეუმში დაცული ხელნაწერი ძეგლები, რომელთაგანაც გამო-
ფენის მეზუთ-მეცენატების სტენდზე მოცემულია ლაილაშის ბიბ-
ლია, ბრეთის ანუ ავალიანთ ბიბლია და კიანურაშეიღების
ფსალმენი.



სურ. 3. ბრეთის ანუ ავალიანთ ბიბლია.

ლაილაშის ბიბლია. პერგამენტზეა დაწერილი, წარმოადგენს.
უნიკუმს და ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებით თავისი ორ-
ნამენტაციით. ამ წიგნის ყოველი იხალი თავი იწყება მოხატული
ასოებით. იგი რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინახებოდა ლაილაშიდა.

მოსახლე ებრაელთა შორის, უკანასკნელ დროს კი—ლაილაშის სინაგოგაში; იყო ცნობილი იყო სვანური ბიბლიის სახელწოდებით და მოუსული მთელი რიგი ლეგენდებით.

ილიშვილი ბიბლია რაჭა-ლეჩხუმში მოსახლე როგორც ებრაელი, ისე ქრისტიანი მოჩტმუნე მოსახლეობისათვის ისე-თი საკულტო საგანი იყო, რომელსაც გვალვის დროს წევიშას შესთხოვდნენ, გადამდებ სწრულებათა გაერცელების დროს— აედმყოფობისაგან განკურნებას, ოშის დროს—მტერზე გა-მარჯვებასა და სხვა.

ბრეთის ანუ აგალიანთ ბიბლია. დადგენილია, რომ ეს ბიბლია დაწერილია ქალაქ სალონიკში, 1513 წელს, სულთან სელიმ II-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში, ეინებ ყაზრიელის მიერ. მისი რამდენიმე რეეული წარმოადგინს ებრაულ პალიმფსესტს, ბრეთის ბიბლია კარგა ხნის მან-ძილზე ბრეთის ფერდალების საოჯახო საკუთრებას შეადგენდა და მშრომელი ხალხის ექსპლოატაციისა და ძარცვა-გლევის იარაღად იყო გამოყენებული თავადი ივალიშეილებისა და კულტის მსახურთა მიერ.

როგორც სათანადო, ისტორიული დაკუშინტებიდან და ზეპირი გამოცემებიდან ჩანს, ილმოსავლეთ საქართველოში ბრეთის ბიბლია გვიან ფერდალურ ხანაში სამსჯავრო საქმე-ების განხილვის დროს არა ებრაელთა წინაშე ებრაელთა დასა-ფიცებელ ობიექტს წარმოადგენდა.

მხატვარ გველებიანის ნახატი „ბრეთის ბიბლიის დლე-სასწაული“ გვიჩვენებს დლეობას, რომელიც ტარცებოდა სო-ფილ ბრეთში წელიწადში ერთხელ და რომელშიც, გარდა აღ-გილობრივი მუდმივი მცხოვრებლებისა, მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა დაბა-სოფლიდან მოსული მორწმუ-ნენიც.

კიანურაშვილების ფსალმუნი. დაწერილია ქ. სალონიკ-ში, 1521 წელს. წარმოადგენს დაეგიდ იოსების-ძე კიმხის ანუ რედაკის (1160—1235) და იოსებ ბენ-დაეგიდ ჰაიევანის (XI—XIII ს. ს.) კომენტარებიან ხელნაწერ ფსალმუნს ძეველ ებრაულ ენაზე. ძეველი ქალაქ ახალციხიდან ბაქოში გადა-სახლებული კიანურაშვილების საგვარეულო საკუთრებას შეად-გენდა და როგორც ახალციხეში, ისე ბაქოში კომპაქტურად მოსახლე ქართველ ებრაელთა ოჯახებს შორის მიმწერლი

იყო ისეთ „სასწაულმომქმედ“ წიგნი, როგორადაც ითვლი-
ბოდა ბრეთის ბიბლია ქართლში და ლაილაშის ბიბლია და-
საელეთ საქართველოში.

102

八

სურ. 4. ბრეტის ბიბლიის ერთეულთი გვერდი, რომელიც
პალიმფსისტის წარმოადგინს.

4. საქართველოს
ებრაელები გვან
ფეოდალურ
ხანაში

გამოფენის მეშვიდე და მერვე სტენდ-
ზე ცესპონირებული სიგელ-გუჯრები, საარტონოს
ქივო დოკუმენტები, კარტოგრამები, ცეს-
პლიკაციები, ტაბულები და მხატვრული სუ-
რათები მოგვითხრობენ იმაზე, რომ „ებრაე-
ლობა ფეოდალურ საქართველოში უმთავრესად ხელოსნობა-
ოლებ-მიცემას მისცევდა. ყმა-ებრაელი, რა თქმა უნდა, მიწა-
საც ამუშავებდა, ფენას, ხილს აშენებდა, პურეულიც მომყავ-
და, მაგრამ „ურიას“ ეს კი არ ახასიათებდა, არამედ ვაჭრო-
ბა. ბატონის ებრაელი უმთავრესად „თეთრით“ ემსახურებოდა“¹⁾.

აქვე ნაჩენებია, რომ „საქართველოს ებრაელობა ბა-
ტონყმობის ხანაში ქართველი ფეოდალის შიერ თანაბრად
მიმდლაცრებულს ერთ მთლიან სოციალურ წრეს კი არ წარ-
მოადგენდა, არამედ სრულიად გარკვეულს და ურთიერთის
მიმართ კლასობრივად დაპირისპირებულ სოციალურ კატეგო-
რიებს... ლარიბი ყმა ებრაელი, ყმა ქართველთან თუ ყმა სო-
მეხთან ერთად, ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა, მათთან
ერთად ატარებდა მებატონის მძიმე ულელს და მნივერელთა
წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდა... ებრაელთა შორის
მოიპოვებოდნენ ეკონომიკურად დაწინაურებული ელექტრები,
ყმა-მაცულის მქონენი, ვიქარ-მოიგარადორენი. ამათ, რა თქმა
უნდა, სოციალურად საერთო ალირი ჰქონდათ რა თავიანთ
ყმა-მეტომებოთან. თავისი სოციალური მოძმების მსგავსად
ყმა ებრაელიც მებატონის საეჭვობას წარმოადგენდა. ბატო-
ნის ნებაზე იყო დამოკიდებული ისეთი ყმის გასყიდვა, გაჩუქრე-
ბა, ნაშინთვად გატანება, დაწინდევა თუ სხვაგვარად გასხვი-
სება“²⁾.

მხატვარ დ. გველესიანის ნახატი „ებრაელი ყმების გა-
ყიდვა“ გვისურათებს ფეოდალების შიერ ყმებით მოვაჭრე
თურქებისათვის ყმა ებრაელების/მიყიდვის ამბავს.

„კუთვნილების თვალსაზრისით ყმა ებრაელები იყოფოდ-
ნენ: სამეფო-სადედოფლოდ, საეკლესიო-სამონასტროდ, სათა-

¹⁾ ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ, პრო-
ფესიონ. ნ. ბერძნენიშვილის რედაქტიონით: „საქ. ებრაელთა ისტორიულ-
ეთნოგრაფიული მუხლების შრომები“, ტ. I, თბილისი, 1940წ., გვ. 160.

²⁾ იქვე, გვ. 159-160.

ვად აზნაუროდ. ქართველ თუ სომებს ყმებთან ერთად მოიპოვებოდნენ ებრაელი მკვიდრი ყმები, ნიშნები, ბოგანოები, აყრი-ლები...¹⁾.

ისტორიუ
სახელმწიფო


ებრაელები საქართველოს მიწისძიები ბერძნების ხანაში

ЕВРЕИ ВОСТОЧНОЙ ГРЭЗИИ В КРЕПОСТНОЙ ПЕРИОД



ვალენტინ გორგაძე

მარიამ გორგაძე
ნინო გორგაძე
ალექსანდრე გორგაძე
ვარდი გორგაძე
ალექსანდრე გორგაძე
ნინო გორგაძე
ალექსანდრე გორგაძე
ლილი გორგაძე



• მარიამ გორგაძე ნინო გორგაძე,
1911-1912 წლების ექსკორსი

• ალექსანდრე გორგაძე

• ნინო გორგაძე 1911-1912 წლები

• ალექსანდრე გორგაძე

სურ. 5. გამოფენის მეშვიდე სტენდზე მოცემული ერთეულითი კარტოგრამა.
1) ისტორიული დოკუმენტები საერთოფეროს ებრაელთა შესახებ, პრო-დესორ ნ. ბერძებიშვილის რედაქციით: „საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთ-ნოგრაფიული მუზეუმის შრომები“, ტ. I. თბილისი, 1940 წ., 160.

ლალა, ბეგარა, ბატონიშვილების მრავალგვარი სხვა სამსახურის გაწევა, მებატონისაგან აწიოკება-შევიწროვება და სრული გაუყითხაობა მძიმე ტეირთად აწეა ყმა ებრაელს, ისევე როგორც ყმა ქართველს. ამის გარდა მის მდგომარეობას აშძიმებდა განსაკუთრებით ის გარემოება, რომ მას მებატონებში ადგილი ყიდდა ან რამე ნივთში ცელიდა. იყო შემთხვევები, როცა ყმა ებრაელს, როგორც „თეთრით“ ერთადერთ მოსამახურეს, ფეოდალები ერთმანეთს სტაცებდნენ. ყავა ებრაელს იტაცებდნენ და, როგორც უბრალო ნივთს, ისე ყიდდნენ საქართველოშე თავდამსხმელი მეზობელი ტოპებიც: ლეკი, თურქი და ირანელი მოთარებენი.



სურ. 6. გამოსულის გვიან-ფეოდალური განცოდილების ერთორთი კუთხე.

პროფ. ა. ციმაკურიძის ნახატი გვისურათებს დალეს -
ტანში ლექციის მიერ გატაცებული ეპრაელი ქალების გაყიდვებს.

ფურდალურ ხანაში ევროპის სახელმწიფოების ეპრაელ-
თა მდგომარეობისაგან განსხვავებით, ქართველი ეპრაელები
ქვეყნის ძირითადი ქართველი მოსახლეობისაგან იზოლირებუ-
ლი არა ყოფილან და თავიანთი სოციალური თანამოძმებების
უფლებებით თანაბრად სარგებლობდნენ.

მეცნიერე სტენდზე წარმოდგენილი დიაგრამებით, ფოტო-
სურათებით და ექსპლიკაციებით ნაჩვენებია, რომ ბატონყმო-
ბის გადავარდნისა და საქართველოში კაპიტალისტური ურთი-
ერთობის განმტკიცების ხანაში, ქართველ ეპრაელთა კომიტე-
ტურმა მასამ დაბა-სოფლებიდან სავაჭრო-სამრეწველო ცენ-
ტრებისაკენ დაიწყო გადაადგილება.

იმასვე გვიდასტურებს განკალებილებაში წარმოდგენილი,
მესხეთის აბასთუმნიდან და ძველი სენაკიდან ჩიმოტანილი
ეპრაელი ლაპიდარული ძეგლები.

ქვევანყოფილება იხურება საქართველოს ცენტრალური
ისტორიული არქივის (ფონდი № 226, საბუთი № 3641) სიგე-
ლის პირით და ამ სიგელის საფუძველზე პროფესორ ციმა-
კურიძის მიერ შესრულებული ფერწერული ნახატით: „თა-
ვადი ფალავანდიშვილების თხოვხა მეფე ერკელე მეორისადმი
გრიგოლ წერეთლის მიერ ეპრაელი ყმების გატაცების გამო“.

მეათე სტენდზე წარმოდგენილი მდი-
ნ. საქართველოს დარი მასალით ნაჩვენებია, რომ ეკონომიკუ-
ებრაელები XIX რი ნიშნის მიხედვით საქართველოში
საუკუნის II მცხოვრები მოვაჭრე ეპრაელები სამ ძირი-
ნახევარში თაღ ფენად განიყოფებოდნენ: 1. დიდი
გაჭრები, 2. საშუალო შეძლების მქონე
ვაჭრები და 3. მეწერილმანე ვაჭრები.

მხატვარ დ. გველესიანის სურათი „დიდი ვაჭრის დექანი“
წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, რომ დიდი ვაჭრები
ერთეულებს შეადგენდნენ, მოვაჭრე ეპრაელთა დიდი უმრავლე-

სობა კი დიდი ვაჭრების, „ხაზეინების“—სოფლიდ მოსიარულე „პრიკაშჩიებს“ და მხოლოდ საშუალო შეძლების მქონე შორის ვაჭრე ებრაელთა მცირე ნაწილი ახერხებდა „ხაზეინისაგან“ დამოუკიდებელ ვაჭრობას.

მხატვარ დ. გველესიანის მეორე სურათი გვიჩვენებს სოფლისაკენ სავაჭროდ მიმავალ „მესოფლე“ ებრაელებს.

დიდ ვაჭარს სოფელში მოვაჭრე ათიდან ასამდე ასეთი „პრიკაშჩიები“ ანუ „მესოფლე“ ჰყავდა. „მესოფლეები“ კი იყვნენ სამგვარნი:



სურ. 7. განცოდილებაში მოცუმული
ებრაელთი დიაგრამა.

1. „დღიურნი“ ანუ საქონლის ერთი ან ორი დღით ნისიად წამლებნი.

2. „კვირეულნი“ ანუ საქონლის ერთი კვირით ნისიად წამლებნი.

3. „ვაღიანნი“ ანუ საქონლის ერთი კვირიდან ერთ წლამდე ნისიად წამლებნი.

მოჯამაგირეობის თავისებური სახე „ყურბათობა“, რომელიც გავრცელებული იყო განსაკუთრებათ ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა შორის, დასურათებულია სპეციალური ქარტოგრამით, სადაც ნაჩვენებია, რომ ზოგჯერ დიდი ან სა-

შეუალო შექმნების მქონე ებრაელი ვაჭარი იქირავებდა მეორე
ებრაელს, რომელიც ვალდებული იყო ზურგით ეტარებინა „ხა-
ქონლით სავსე ბოხჩა ან კალათა, მოხმარებოდა „ხაშეინს“ ვაჭრობაში, დაეცვა საქონელი დაიარგვისა ან ვაფუქებისაგან
და ამ მძიმე მუშობის ფასიდ იგი დღეში მხოლოდ 20 - 30
კაპიტას ლებულობდა. ასეთ მცირე გისამრჯელოში კი გარდა
ამ სამუშაოს შესრულებისა, იგი იძულებული იყო ხშირად
2-3 წლით თავისი ოჯახი, ცოლშეილი მიეტოვებინა და „ხა-
შეინს“ სტამბულში ან სხვა რომელიმე შორეულ ქვეყანაში
გაძიოლობდა. ამ ხანგრძლივ მოგზაურობას ახალი ცხელ ებრა-
ელთა შორის ეწოდებოდა „ყურბანთობა“, რომელიც სამსახუ-
რის მეტად მძიმე სახეობა იყო. ამავე კარტოგრამაზე წარ-
მოდგენილია ხალხური ლექსი „სიმღერა ებრაელი ქილისა ყურ-
ბანთად წასული თავისი ქმრისადმი“.

მხატვარ დ. გველესიანის სურათი „მეწვრილმანე ვაჭრის
აწიოკება“ და ამ სურათთან ერთად მოცემული საარქიერა და
სხვა ხასიათის ტექსტობრივი მასალა ნათელყოფს, რომ მსხვი-
ლი ვაჭრები თავიანთ ბრჭყალებში მოქცეულ „მესოულე“ ანუ
მეწვრილმანე თანამეტომექებსაც არ ინდობდნენ და თუ ნი-
სიად წილებული საქონლის საფასურს ისინი დროზე არ ვა-
და გადასაცილებენ, დიდა ვაჭარი მათ ოჯახს აწიოკებდა, პოლიციის
საშუალებით ვალში უკანასკნელ საოჯახო ნივთებს სტაციებდა
და საცხოვრებელი ბინიდანაც-კი აძვევდა.

ამავე სტენტზე წარმოდგენილია სპეციალური კარტოგრა-
მით ქართველ ებრაელთა საგანგებო პირობითი „საიდუმლო
საეკრო ენა“, რომელიც ძველი ებრაული სიტყვების ძირები-
საგან ებრაული და ქართული აფიქსებით ნა, არმოებ სიტყვე-
ბს და სეთი სიტყვებისაგან შედგენილ წინადადებების ნაწი-
ლებს ან წინადადებებს წარმოადგენს.

XIX საუკუნის II ხახევარში საქართველოს ებრაელები
გარდა ვაჭრობისა მისდეველნენ აგრეთვე შინამრეწველობასა და
ხელოსნობას.

ებრაელი ხელოსნები საამქროებში არ ერთიანდებოდნენ.
მათი საწარმოო ვაერთიანების ძირითად სახეობას ამხანავობა
წარმოადგინდა. ამხანავობაში ორი ან სამი ხელოსანი ერთიან-
დებოდა, ისეთი ხელოსნები, როგორიც არიან მექექენი, მე-
წალენი, მეჯადაგენი და სხვა, ისინი ხშირად შეგირდებს იყეახ-
დნენ და მათ ძლიერ ექსპლოატაციას უწევდნენ.

ებრაელ ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის ერთგვარი შე-
თანამება იყო, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ხელოსნები
ვაჭრებისაგან ნედლ მასალას ყიდულობდნენ, ამივე დროს
ვაჭრები მათ წარ ნაწარმს ყიდულობდნენ და ბანარზე ზედმეტ
ფასებში ყიდდნენ.

მეთერითმეტე სტენდზე ნაჩვენებია საქართველოს ებრაელ-
თა შინამრეწველობა ხელოსნობა ფერადი რუკით; „ხელოსნო-
ბის სახეები და მათი ვაჭრუელების არე XIX საუკუნის II ნა-
ხევარში“. აქევ წარმოდგენილია ებრაელ ხელოსნოთა ტიპების
ფოტო-სურათები და დიაგრამა: „სტატისტიკური შონა-
ცუმები — შინამრეწველები და ხელოსნები ოჯახების მი-
ხედვით“.

საქართველოშიც, ისევე, როგორც მთელს რუსეთში, მე-
ფის ხელისუფლება ანტისემიტიზმს რომ ხელოვნურად აღვი-
ვებდა, ამის თვალსაჩინო დამამტკიცებელია სურამისა და ქუ-
თაძის რიტუალური პროცესები.

1853 წელს სურამში ამიტრავეჯასის მაშინდელი უშიალ-
ები აღმინისტრაციის ხელმძღვანელობითა და პირადად თა-
ვადი მიხეილ ვორონცოვის მეთაურობით საქართველოს ებ-
რაელების წინააღმდეგ შეთხხული იქნა რიტუალური ხა-
სიითის ბრალდება. მეფის მთავრობამ პასუხისმგებაში მისცა
სურამელი ებრაელები, რომელთაც ბრალი დასდეს იმაში, რომ
თითქოს მათ 1850 წლის 5 ივნისს რიტუალური მიზნით
ქრისტიანი ბავშვი მოკლეს. მეფის მოხელეებმა დაბეჭინებუ-
ლი და ცრუმორუშმონე გლეხობა ებრაელთა დამნაშავეობაში
დაშინებითა და მათზაბით დაიმოწმეს და სრულიად უდა-
ნაშაულო ღარიბი ებრაელები, თანახმად სენატის გადაწყვე-
ტილებისა და პირადად „განმანათლებელი“ ეორონცოვის მი-
თითებისა, რუსეთის შორეულ იდგილებში გადასახლეს, საი-
დანაც ეს გადასახლებულნი კელარც დაბრუნდნენ.

1879 წელს მეფის ხელისუფლებამ დაბა საჩხერეში მცხოვ-
რები ებრაელები მისცა პასუხისმგებაში. მათაც რიტუალური
მიზნით ქრისტიანი ბავშვის მოკლე ბრალდებოდათ. საჩხერე-
ლი ებრაელების გასამართლება ქვთაისში იქნა წარმოებული.
ქუთაისის პროცესში დიდი გამოხმაურება პოვა არა შარტო
საქართველოსა და რუსეთში, არამედ სახლებისაზე გარეთაც. ამ

პროცესში მონაწილეობა მიიღეს იმ დროის ცნობილმა კვებებმა: გრუზენბერგმა და კუპერნიქმა. პროცესში რამდენიმე კვირას გასტანა და ბოლოს სასამართლო იძულებული შეიქნა ანტისემიტურ ნიადაგზე შეთითხნილი რიტუალური ბრალდება უკანვე წაელო და ბრალდებული გაემართლებინა.




სურ. 8. 1879 წელს რიტუალური ბრალდებით
პასუხისებაში მიცემული საჩხერელი ებრაელები.

ამ ქვეგანყოფილებას ავსებს და ერთგვარად იგიირგვინებს „შემდეგი ორი ქანდაკი: 1) „წვრილმანით მოვაკრე ებრაელი ბავშვი“ და 2) „მესოფლე“ მოსუცი ებრაელი კალათით ხელში“.

6. 1905 წლის რუსეთის იაპონიის ომში რევოლუცია და რუსეთის სამარცხეინო დამარცხებამ შეფის საქართველოს და კუონომიური ჩამორჩენილობა მუშაობა ებრაელები კლასისათვის ნათელი გახდა. მუშაობა კლასი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მეფის რუსეთი ისეთი კუზიანია, რომელსაც მხოლოდ სამარე

გაასწორებს. მუშათა მოძრაობის სწრაფი დღიულობა დაიწყო. დაიწყო 1905 წლის რევოლუციის მზადება. 1905 წლის რევოლუციის მზადებას ამიერკავკასიისა და საქართველოში დიდი მოძრაობები და მისი ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე წელუკიძე ხელმძღვანელობდნენ.




K 29.076
3

სურ. 9. 1905 წლის რევოლუციის
განცოლილების ერთგრძი კუთხე გამოფენაში.

1905 წლის რევოლუციის საქართველოს ებრაელობა ერთმანეთის მოწინააღმდეგი სოციალურ ორ ჯგუფად, მდიდართა და ღარიბთა ჯგუფებად დაყოფილი შეხვდა.

საქართველოს ებრაელთა მდიდარი და შეძლებული ნაწილი რევოლუციის წინ აღუდგა და ქართველ და სხვა ეროვნებითა ბურჯუაზიულ ელემენტებთან ერთად რევოლუციის წინააღმდეგ ფარულსა და აშკარა ბრძოლას აწარმოებდა.



ებრაელთა ლარიბი ფენები კი უმაღლ რევოლუციას მიემზრნენ
და რევოლუციურ მუშაობაში ჩაებნენ.
განსაყორებით ფართოდ ნაჩერებია აბრამ (იცყა) რევოლუცია
ნაშეილის ცხოვრება და რევოლუციური მოლვაწეობა.



სურ. 10. ცინკოგრაფიული ერთერთი დოკუმენტი
იცყა რიცინაშეილის შესახებ.

იცა რევოლუციურ მოღვაწეობას ჯერ კიდევ თავისი
შოწაფეობის წლებში, ქუთაისის რეილურ სასწავლებელში
ეწეოდა, აყალიბებდა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს;
ხელმძღვანელობდა ირალეგალური უურნალების გამოცე-
შებს და ამ გამოცემებში იგი უშუალოდ მონაწილეობდა. 1904
წელს შოაწყო ქუთაისის რეილური სასწავლებელის მოსწავ-
ლეთა რევოლუციური განხილა, რისთვისაც პოლიციამ
იცას დევნა დაუწიო. პოლიციისათვის თავის არიდების შიზ-
ნით იცა 1904 წელს გაემგზავრი ლიბიკიგში, სიცანაც სა-
ქართველოში ირალეგალურ რევოლუციურ ლტერატურის
აგზავნიდა. 1905 წლის რევოლუციის დაწყებისთანავე ქუთაის-
ში დატრუქდა და ამ დროს ქუთაისში დაბანიკებულ ბესარა-
ბიისა და ფოთის ლეგიონების ჯარისკაცებს რევოლუციაში
შონაწილეობის შისცლებად ამხადებდა. 1905 წლის შეიარაღე-
ბულ გამოსცემებში უშუალო და აქტიური ცინაწილები მიმდი-
და მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ 19 წლის ჭაბუკი
იყო, უკვი თვალსაჩინო რევოლუციურ შოღვაწედ ითვლებოდა.
იცას თვალსაჩინო რევოლუციური შოღვაწეობით შემი-
ნებულმა მეფის ხელისუფლებამ 1906 წლის 17 ივნისს იცას
მუხანათური მკელელობა შოაწყო (იცა დაიბადა 1886 წლის
30 იანვარს).

გამოფენის მეთოთხერტე შესუთხმეტე სტენდზე ნაჩენენ-
დია იცა რიენინაშეილის ცხოვრება და შოღვაწეობა: იცას შოკლე ბიოგრაფიით, იცას ბაგშეობისა და მოწაფეო-
ბის დოკუმენტალური ფოტოსურათებით, მხატვარ შოთა მე-
ტრეველის მიერ დახატული იცას პორტრეტით და შემდეგი
ორი სილეტური ნახატით: გლადიმერ ზავლიშეილის „ჯარის-
კაცთა ირალეგალური კრება იცას, ხელმძღვანელობით“, შოთა მეტრეველის — „იცა რიენინაშეილი რეფერატს კი-
თხულობს ქუთაისის მოსწავლეთა ირალეგალურ ჯგუფ-
ში“.

ამავე „სურათებისა და ფოტოდოკუმენტების გვერდით გა-
მოცენაში მოცემულია 1917 წელს თბილისის ეპრაელთა მიერ
დემონსტრაციაზე გამოტანილი წითელი დროშა, რომელზე-
დაც ოქროს ასოებით ქართულად წირწერილია „გაუმარჯოს
შრძოლით მოპოებულ თავისუფლებას“ და ებრაულად: „მარა-

დოკული ხსოვნა ხალხისათვის თავიდალებულებს, რომლებმაც
სისხლით მოგვიძოვეს თავისუფლება⁹.

მეთექესშეტე სტენდის ცენტრში მო-
7. საქართველოს თავისებულია ქროტეოდის სურათი „მენშე-
ებრაელები მენ- ვიკებისა და ებრაელი ბერებულების შეხმა-
შეფიქტის ბატო- ტებილება“, რომელიც ექამდა კაციებთან
ნობის წლებში და საარქივო მასალებთან ერთად გვიჩვი-
ნებს იმას, რომ მენშევიკები საქართვე-
ლოში თავიანთ ბატონობის პირეელი დღიდანვე მდიდარი
ებრაელების მესვეურებთან და ებრაული კულტის მსახურთა
წარმომადგენლებთან შეხმატებილებულად მუშაობდნენ, რომ
ისინი გაერთიანებული ძალებით ებრაელთა მშრომელ და ღა-
რიბ მასებს ჩაგრავდნენ და აბეზივებდნენ.

„ჩენ მოგცემთ ხმებს, თქვენ მოგვახმარეთ თქვენი ხელი-
სუფლება და ძალა“ — ასეთი იყო ებრაელი ბერებულების შეთან-
ხმება მენშევიკებთან.


მხატვრულად შესრულებული ტაბულებიდან და დიაგრამე-
ბიდან ჩანს, რომ მენშევიკების სტოლიპინისებური ნაციონალური
პოლიტიკის შედეგად საქართველოს ებრაელთა მეწვრილმანე
ვაჭრების ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა,
ებრაელი დიდი ვაჭრები კი საქართველოში შექმნილი არეულო-
ბით, აქოტეათ, სპეცულაციით ფართოდ სარგებლობდნენ
და მილიონებს იძნდნენ.

ებრაელთა ფართო მასების ეკონომიკური პირობების გაუა-
რესებას თან მოჰყვა მათი კულტურული ზრდის მნი შენელოვანი
შეფერხება და საშუალო და უმაღლეს სკოლებში მოსწავლე
ებრაელთა ისედაც მცირე რიცხვის კიდევ უფრო შემცირება.

ეთნოგრაფიული გაცოდილება

8. სახლის კომ- საქართველოს ებრაელთა საცხოვრებე-
პლექსი. ლი ბინის ტიპები მეჩვიდეტე სტენდზეა
წარმოდგენილი ფოტო-სურათებით, ჩანა-
ხაზებით, ნახატებით და მაკეტებით, საიდანაც ჩანს, რომ
ებრაელთა საცხოვრებელი ბინები საქართველოში უმთავრესად
იმ კუთხის ძირითადი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინის ტი-

პებს ეკუთვნიან, რომელთა შორისც ებრაელები კომისაქტუ-
რად მოსახლეობენ. აქვე ვხედავთ, რომ სოციალურ ჭრილში განვი-
საქართველოს ებრაელთა საცხოვრებელი ბინები სამი ძირითა-
დი სახისა იყო:



სურ. 11. ახალციხე. ერთეულთი კუთხე ებრაელთა უბანში.

1. ერთსართულიანი, ნახევრად მიწური სახლი წერილშა-
ნით მოვაჭრე ებრაელისა.

2. ერთსართულიანი, სარდაფიანი სახლი საშუალო შეძ-
ლების მქონე ებრაელი ვაჭრისა და

3. ორსართულიანი, სარდაფიანი სახლი ებრაელი შეძლე-
ბული ვაჭრისა.

საქართველოს ებრაელთა სახლები აგებულების მიხედვით
ძირითადად შემდეგ ტიპებს განეკუთვნებიან:

ქართლში (სტალინირსა, გორსა, ქარელსა და სურამში)
გვხვდება: დარბაზული, მიწური, ფიცრული, ქვიტკირის.

დასავლეთ საქართველოში გვხვდება: აფრიკანი, კუნჭულია-
ნი, გოგებიანი, ორსართულიანი—ყავრით გადახურული (ქვედა
სართულში სავიჭრო დარაბებით).

მესხეთ-ჯავახეთში გვხვდება უმთავრესად მიწური სახლები.


9. ქართველ ეპ. მეთენაშეტესტენდზე მოცემულია ქართველ რაელი, ტაძები. ებრაულია ტაძები ფირზ სურათებში. და ფანჯრით, აკეარელით და ზეთის სალებავებით შესრულებულ ნახატებში, რამელთა შორის უკრალებას იპყრიან მარტვარ შალებ აპრაზიშეკალას მაერ შესრულებული ფერწერული ნახატი: „ახალკინელი ებრაელი მამაკაცი“ და მხატვარ დავით გველესანის მიერ შესრულებული ნახატები: „აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელი დიასახლისი“, „დასავლეთ საქართველოს ებრაელი ქადა“ და სხვ.



სურ. 13. მოხუც ებრაელთა ჯგუფი (ბანდა 1937 წ.)

10. ბავშვის ქართველი ებრაელი ბავშვის ილზრდის აღჭრდა თავისებურება, დაბადებასთან დაკავშირებულ წეს-ჩეეულებებშივე მეღაებდებოდა: ებრაელი ბებიაქალი პირზი ვერცხლის ფულზ დაიკერდა (ან ვერცხლის რომელიმე სხვა ნივთს, თუ დაბადების დღე შაბათი იყო) და ვიპს ამ ვერცხლით გადასჭრიდა. იმის შემდეგ ბავშვს ტანს დაბანდნენ, თავისებურ დიდ ხილაბანდში, „ბა-

რელიეფი” გაახვევდნენ და ხოკიქში ჩატვენდნენ. ბავშვეს აკვან-
ში დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდევ აწვენდ ნენ, ერთ
გვარი წვეულების გადახდით, რის შემდევ ბავშვი ფეხის
აღგმამდე და ზოგჯერ ფეხის აღგმის შემდეგაც აკვანში
იშრდებოდა.



სურ. 12. ლემელი ებრაული ორნამენტულითა და
წარწერებით (აზალეიხე).

ახალშობილ ეპეს, თანახმად ებრაული რელიეფის, დაბა-
დებიდან მერყე — დღეს წინადაცემულნენ, წინადაცემა
ტარდებოდა ბავშვის მშობლების სახლში ანდა სინაგოგაში,
ებრაელად ვაჭი მხოლოდ წინადაცემის შემდევ ჩიითვლებოდა.

მეცხრამეტე სტენდზე ნაჩვენებია მხატვარი დ. ვაჟალესია-
ნის მიერ შესრულებული ფერწერითი სურათი „წინადაცემა
სინაგოგაში“. ვიტრინაში კი განლაგებულია წინადაცემისათ-
ვის საჭირო ნივთები: დანა, საჭერი, ტაშტი და სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე
ლარიბ ებრაელთა მძიმე ეკონომიკური პირობების გამო მა-

თი მცირეწლოვანი ბავშვები 5-6 წლის ჰასაკამდე თითქმის ყოველგვარი აღზრდისა და მეთვალყურეობის გარეშე რჩებოდნენ. ქართველ ებრაელებს წესად მქონდათ ვარი ბავშვები: 5-6 წლის ჰასაკიდანვე ებრაულ რელიგიურ სასწავლებელში — ხედერში — „აღსაზრდელად“ მიებარებინათ.

მხატვარ გველესიანის სურათზე „თალმუდ თორა“ (ებრაელთა რელიგიური სასწავლებელი), რომელსაც თან ერთის სათანადო ექსპლიკაციები და სხვა ტექსტობრივი მასალა, ნაჩვენებია, რომ ხედერში მელამედები ჯერ კიდევ მცირეწლოვან ბავშვებს ცემა-ტყებითა და ჯოხით ღრმიდ უნერგავდნენ ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას და უმეცრებას, რომ ამ სასწავლებელში ასობით და ათასობით ბავშვები გონებრივად და ფიზიკურად მახიჯდებოდნენ და ავადდებოდნენ, რომ ქართველი ებრაელი ვაეუბი 8-9 წლის ჰასაკიდანვე თავიანთ მამებს აღებმიცემაში ეხმარებოდნენ და ამგვარად, ჯერ კიდევ ბავშვობაში ისინი ერთი მხრით აღებმიცემის ექვეოდნენ, ხოლო მეორე მხრით ხედერში მიღებული ფანატიზმი ბედისად-მი მოჩინილებას და სრულ უმეცრებას აჩვევდა და უნერგავდა მათ.

რაც შეეხება ქართველ ებრაელ ქალიშვილებს, მთელი მათი ბავშვობა დედისადმი საოჯახო საქმეებში მიშეელიებას აერძოდ კი: წყლის ზიდვას, კურჭლის რეცხვას, ოთახის, მოელა-დასუფთავებას, უმცროსი, მცირეწლოვანი დებისა და ძმების მოელა-პატრონობას და სხვა ამგვარი სამუშაოების შესრულებას ეწირებოდა.

11. ქალი და 13-14 წლის ქალიშვილი უკვი მომ-
ქორწინება წილებულად ითვლებოდა და ამ ჰასაკი
ათხოვებდნენ კიდეც. სიმწითის პირველ
ნიშნად იღლის ქვეშ თმის ამოსელას მიიჩნევდნენ.

ვაჟი მომწილებულად ითვლებოდა 16-18 წლისა და მშობლები რელიგიური კანონების მიხედვით ვალდებული იყვნენ მის თვის ცოლი შეერთოთ.

ხშირად ქალის დანიშვნა ხდებოდა აკვანშივე. ვაჟი ბავშვის მშობელი მომავალ სარძლოს აკვანშივე ნიშნავდა და ქალი ბავშვის პატრონს დასამევებლად ფულს ან რაიშე ძვირფას ნივთს აძლევდა.

მეოცე სტენლი თ. კანდელაკის მხატვრული სურათით
ჭარბოდენილია საქართველოს ებრაელთა შორის ქალის და-
ნიშვნის შემდეგი ძირითადი წესები:

„კინიანი“ ანუ ფიცის მიცემა, რაც იმაში მდგომარეობდა,
რომ ქალის მშობელი ვაჟის მშობელს ფიცსა და ვაჟვანძულ
ცხვირსახოცს აძლევდა ნიშნად იმისა, რომ თავის ქალს ფიც-
მიცემულის ვაჟის გარდა სხვას. არაეის მიათხოვებდა.

„კილუშინი“. ამ წესს „ქეთუბის“ ანუ ებრაული რე-
ლიგიური ქორწინების აქტის ძალა პეონდა ცოლქმრული და-
მოქიდებულების გამოკლებით და ისეთი წესით „შეუღებებული“
ქალ-ვაჟის გაყრა „გეთის“ ანუ ებრაული რელიგიური განქორწი-
ნების აქტის გარეშე არ შეიძლებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელთა ჩვეულებით სასი-
შამროსათვის სასიძოს თავისი საცოლის გამოსასყიდი ე.წ. „ქე-
სუმი“ ანუ ფულადი გარქვეული თანხა უნდა გადაეხადა.

დანიშნვნამდე ხშირად ხდებოდა სიტყვისა და შაქარპურის
გატანა, ამ დროს ქალის მშობლები ვაჟის მშობლებს ნა-
ზუქს, შაქრის რამდენიმე ნატეხს და პირობას აძლევდნენ, რომ
მათი ქალიშვილი სხვის არაეის მისთხოვებოდა. ამავე დროს
ინიშნებოდა ოფიციალური ნიშნობის დღეც.

რევოლუციამდე ქართველ ებრაელთა ოჯახში ქალის და-
ბადება დიდ უბედურებად ითვლებოდა, რადგან ლარიბ იჯახს
უშემიმდა შეითევის შემზადება, უშენითვოდ ქალის გათხოვება კი
თითქმის შეუძლებელი იყო.

ქორწინებას სამი მთავარი საეალდებულო ცერემონი-
ალი ჰქონდა:

1. „ქეთუბა“ — საქორწინო წერილობითი ხელშეკრულების
დადება, მისი წაჟითხვა და საცოლესადმი გადაცემა.

2. „ხეფა“ — ბიბლიურ სანეტო-სადედოფლო ქოხში და-
ვეირგვინების სიმბოლოდ ნეფე-დედოფლის დაგვირგვინება
ციციტის ქვეშ და

3. საქორწინო, სპეციალური შეიძი საეთხავის წაყითხვა.

მხატვარ გველესიანის ნახატი „ქორწინების რიტუალი“
ამ სამივე ცერემონიალის დასურათებას წარმოადგენს.

საქორწინო ხელშეკრულების ანუ „ქეთუბის“ შემდეგ სა-
ქართველოს ზოგიერთ კუთხეში მცხოვრებ ებრაელებს ნეფე-დე-

დოფული შექმავდათ „აჯლა“-დ სახელწოდებულ სპეციალურ საქონის სარეცელში, რომელიც ამ ქვეგანყოფილების თემაზე დამეტერთე სტენდზე დიარამის სახით არის ნაჩვენები.

სპეციალური მულავით წარმოდგენილია ქორწინებასთან დაკავშირებული წესი: „კაბალულის თამაში“, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მრგვალ ნაზუქს, რომელზეც თხი ანთებული სანთელი უნდა ყოფილიყო ნეფის და ან სხვა რომელიმე მახლობელი ახალგაზრდა ქალი თავზე დაიდებდა და სპეციალური საკაბალულო სიმღერის რიტმზე ციკლავდა ისე, რომ ანთებულ სანთლებიანი ნაზუქი თავზე დადგმული ჰქონდა ანდა ზეაღმართული ეჭირა.

მხატვარ ჩუდეცეის სურათზე „ენის მოქრა“, ნაჩვენებია ქორწინებასთან დაკავშირებული მეორე ადათი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქორწინების მეშვიდე ღამეს, როცა ქორწინების მხიარულება მთავრდებოდა, მამამთილი (ან ოჯახის რომელიმე სხვა უფროსი წევრი მამაკაცი) ყენერალ მორთული, ხმლით ან დარით შეიარაღებული, თუნგით ხელში რძალს თავს დაადგებოდა და ეტყოდა: „ჩეენამდე ხმა მოვიდა, შენ გრძელი ენა გერნია და ენა უნდა მოგვრათო“.

რძალი ხმის ამოუღებლად, მუხლის თავზე დაჩოქილი მეგობარი ქალების პირით უპასუხებდა: „ოლონდ ენას ნუ მომკრით და მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე თქვენთან მუნჯი და თქვენი მონა-მორჩილი ვიქენებით“.

ამის შემდეგ მამამთილი დეფოფალს ენაზე ნაზუქს დადებდა, ენის ნაცელად მრგვალი ნაზუქის ყუას გადაჭრიდა და დედოფალს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: 『ნიშნად შენი ფიცისა ეს უნდა იტარო შენს წელსაკრავში』. ყოველივე ამის შემდეგ კი პატარძალი „ენამოქრილად“ ითვლებოდა და რამდენიმე (ხშირად 6-8) წლის მანძილზე რძალს მამამთილთან დედამთილთან და უფროს მაზლებთან დალაპარაკების უფლება არ ჰქონდა.

ქართველი ებრაელი-ქალის უუფლებობის საუკეთე სოილუსტრაციის წარმოადგენს ქორწინების ბაბლიური გადმონაშთი ე.წ. „ხალიცა“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ—თუ ებრაელი ქალი ისე დაქცერივდებოდა, რომ შეიძლი (ფარ) არ შეეძინებოდა, სხვა კაცზე მითხოვების უფლება არ ჰქონდა.



სურ. 14. ენის „მოქარის“ ცერემონიალი
ახალუიშელ ებრაელებში (ეთტო, ნატურიდან).


და, თავისივე ქმრის ძმას, ე. ი. თავის მაზლს უნდა მისთხოვებოდა, ხოლო, თუ მაზლი მცირებულოვანი იყო, უნდა მოეცა-
და, ვიდრე მაზლი სრულწლოვანი შეიქმნებოდა. სრულწლოვნად
შექმნილს კი ცოლად გაძიროლოდა. მაგრამ, თუ გარდა უკალებული
ქმრის ძმა ცოლად თავისი რძლის შერთვას არ მოისურვებდა,
თავის რძალთან ერთად უნდა წარმლგარიყო „ბეთდინში“ ან ე
გბრაულ-რელიგიურ სამსჯავროს წინაშე, რომელიც ხუთი მსაჯე-
ლის (ხუთი სასულიერო პირის) და ხუთი მოწმე მამაკაცი-
საგან შესდგებოდა ხოლო სამსჯავროს ასეთი შემადგენლო-
ბით — „ხალიცის“ სახელწოდებით ცნობილი შემდეგი ცერე-
მონიალი უნდა შესრულებულიყო: რძალს თავისი მაზლისთვის
უნდა გაიხსდა ამ ცერემონიალის შესრულებისათვის სპე-
ციალურად შეკერილი და „ბეთდინში“ დაცული ფეხსაცმელი,
სახეში შეეფურთხებინა მაზლისათვის და შემდეგი სიტყვე-
ბით მიემართა: „ასე ეპყრობიან იმ კაცს, რომელიც თავისი
ძმის სახლის აღდგენას არ მოისურვებს“.

ქალის შეურაცხყოფა და უფლებრივიად უგულებელყოფა
განქორწინების ანუ გეთის დროსაც არა ნაკლები იყო. ქალს
არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლება ქმარს თავისი
ინიციატივით გაძიროდა, იმ დროს, როდესაც ქმარს საამისო
უფლება ყველა შემთხვევაში ენიჭებოდა.


გამოფენის ოცდამეორე, ოცდამეოთხე

12. რელიგია. და ოცდამეხუთე სტენდზე წარმოდგენილია
მდიდარი კონკრეტული მასალა: ექსპონა-
ტები, დიაგრამები, მხატვრული სურათები და სხვ., რომელიც
ამერავნებს ებრაული რელიგიის კლასობრივსა და რეაქციულ
მუნებას, ამერავნებს კერძოდ იმ ფაქტებს, თუ როგორ გამო-
დიოდნენ სასულიერო პირები ცარიზმის სამსახურში და რო-
გორ ატყუებდნენ ისინი მორწმუნე მასებს, წარმოდგენილია
კულტის მსახურთა იერარქია, რელიგიური კალენდარი, მორ-
წმუნეთა მიერ ლოცვა-ვედრებაზე დროისა და ფულადი წლიუ-
რი ხარჯვის ნუსხა, რომელიც გვიჩვენებს იმას, რომ დეთის
მსახურებაზე მდიდარი ებრაელი თავისი შემოსავლის მეტად
უმნიშვნელო და პროცენტულად თავისათვის აბსოლუტურად
შეუმნიშვნელ თანხას ხარჯავდა, იმ დროს, როდესაც წერილი
მოვაჭრე ებრაელები და ებრაელთა ლარიბი მოსახლეობა შე-

მოსაცელის საგრძნობ ნაწილს, თავისი უკანასკნელ კაპეიკებს რელიგიური დღესასწაულების შესრულებაში ხარჯავდნენ და მათ გულტის მსახურებს და სინაგოგის სწირავდნენ.




კულტურული მსახურების ინიციატივა სტარტი ციურის ცენტრის კულტურული მსახურების და სინაგოგის სწირავდნენ.



- I სპეციალური მამა - არა მამული მამა
- II ხახაძე - არა მამული მამა - მამული მამა და მამული ქამარი
- III ბაბაძე - არა მამული მამა - მამული მამა და მამული ქამარი
- IV ბაბიშვილი - არა მამული მამა - მამული მამა და მამული ქამარი


სურ. 15. გამოცემის რელიგიის უცნობოფილებაში მოცემული კრთხერთი] დიაგრამა.

გამოფენაში რელიგიის, განცოფილებას დათმობილი აქტები წუთი კარადა, სადაც ებრაული რელიგიური როგორც სინაგოგალური, ისე ინდივიდუალური და საოჯახო ნივთეულობაა. წარმოდგენილი: სეფერ-თორები, პეხალის (სეფერ-თორის სინაგოგალური კარადის) ფარდები, სინაგოგალური საყვირები ანუ „შოფარები“, „ლულაბ-ეთროგი“, შეწირულებათა შესაგრძოლებელი ყუთები ანუ „კუფები“, ებრაული წესით საქონლის და ფრინველთა დასაკლავი დანები, ციციტები, (ლოცვის შესრულების დროს სახმარი წამოსასხამი), თეფილინები და სხვა.



სურ. 16. გამოფენის რელიგიის განცოფილების ერთერთი კიტრინა.

აქევე წარმოდგენილია სინაგოგისა და ებრაული რელიგიური დღესასწაულების შესახებ მთელი რიგი ფერწერული ნახატები, კეკარელით შესრულებული სურათები და მაკეტები, კერძოდ შემდეგი: ჩ მაკეტები 1) „თბილისში მცხოვრები ეფრობელი ებრაელების სინაგოგი“, რომლის ქვედა სართულად ნაჩვენებია მაცის საცხობი ფურნე სათანადო ფოტო მასალების დართვით, 2) უგვიან ლამის ლოცვის ე.წ. „სელიხოთის“ შესასრულებლად სინაგოგის მახურის („შამაშის“) მიერ ებრაელ



სურ. 17. პეტალის (სეფერითორის სინაგოგალური კარიადის) ფაზდა.



სურ. 18. მთვარის „კურთხევა“

მორწმუნეთა გაღვიძების მომენტი". B) ნახატები: გეელესი-ანის: „ებრაული, პასკალური ტრაქეზა“, „ქართველი ებრაელი ცისკრის ლოცვის დროს“, ხანუქის (ხაშმონაელთა გამარჯვების აღმნიშვნელი დღის) კურთხევა ოჯახში, „ხანუქის კურთხევა მარტი“, „შოთეტი“. (ფრინველისა და საქონლის ებრაული რელიგიური წესით დამკველელი), „დარაში“ ანუ „ქადაგება სინაგოგაში“, „ანათემაში მიცემული ებრაელი“, „ხერე-მი (ანათემა)“, „მონანიების შემდეგ“, მხატვარ მიხეილ პოპოვის ნახატი „იერუსალიმისაკენ“, მხატვარ ისაკ იეხიზკიელის ნახატი „მონანიება შენდობის წინადლეს“ და სხვა.

ამ ქვეგანყოფილებაში ოცდამეტეცსე

13. მესიანიზმი, სტენდზე წარმოდგენილი ტექსტობრივი მა- ამულეტები და სალებრი, ფოტოსურატებით და ექსპონა თალისმები. ტებით ნაჩვენებია, რომ ქართველ ებრა ელთა შორის მესიანიზმის გავრცელებაში

წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდათ პალესტინიდან მოვლინებულ ეგრეთწოდებულ „შალიახებს“ ანუ ებრაული კულტის მსახურ მოციქულებს, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ „მაშიახის“ ანუ მესიის მოსვლის დროს ყოველი მორწმუნე ებრაელი მკვდრე- თით აღდგება და „წმინდა ქვეყნა“—პალესტინის მიწის ნა- წილის ჩატანება საფლავში—ებრაელის გვამს მესიის მოსვ- ლამდე გაუხრწნელად ინახავსო. ისინი პალესტინიდან ჩამოტა- ნილი „დედა რახელის“ საფლავის მიწას ყიდდნენ, მორწმუნე ებრაელებს ტყავს აძრობდნენ და სანოგადოდ ამის გარშემო დიდ სპეციალის ეწეოდნენ.


ამავე ქვეგანყოფილებაში წარმოდგენილი ექსპონატები, სამკითხაო წიგნები, ილუსტრაციები, ნახატები, ექსპლოკაციები და ფოტოსურატები წარმოდგენას გვიქმნიან ერთი მხრით იმა- ზე, რომ ამულეტები და თილისმები საქართველოს ებრაელთა შორის წარმართული სარწმუნოების გაღმოხაშობია, შეორე მხრით კი იმაზე, რომ რელიგიის მსახურნი და ექიმბაშები ყო- ველგვარ საშუალებას ხმარობდნენ საქართველოს ებრაელთა მასერებში ფანატიზმისა და უმეცრება-ჩამოჩნილობის დასაჩ- კვიდრებლად.

ამულეტები და თილისმები კულტის მსახურთა ხელში მა- სების დამონებისა და გაყვლეფის მარჯვე იარაღს წარმოაღ- გენდა. მოლებისა და ხახმების უაზრო სიტყვათა გროვა „ავგა-

როგორიცაა „ბაქართველი“ მათი შემთითხნელების ხელში საქართველო აზრიანი და სარტყელიანი წყარო იყო ჩამორჩენილი, მორწმუნე მასების სა-
ძარცველად.

14. საქართველოს ებრაელთა ტანსაცმელი გამოფენაში წარმოდგენილია № 6-12 კა-
რადებში, № 6 და № 7 კარადებში ნა-
წანსაცმელი ის-
ტორიულ-ხოცა-
ლურ ჭრილში. წევნებია ახალციხეში მოსახლე მდიდარი
ებრაელი ქალის XVIII-XIX საუკუნის
ტანსაცმელი, კერძოდ: ზუბუნი, გუჯანი,
ოქროკაბა, აბროშუმის წინდები, ხელსაკე-
რი ფოში, „ბალდადი“ და სხვა. წარმოდგენილ ტანსაცმელს
თანდართული აქვს თავისი თარგები და ჩანახაზები:

კარადა № 8-ში წარმოდგენილია ახალციხეში მცხოვრები
ებრაელი დედოფლის ტანსაცმლის კომპლექსის ერთი ნაწილი,
კერძოდ ყანაობის პერანგი, ოქროკაბა, ქოშები, ბალდადი და სხვ.
კარადა № 9-ში წარმოდგენილია ახალციხეში მოსახლე
ებრაელი მდიდარი ზამაკაცის ტანსაცმლის კომპლექსის ერთი
წერტილი, დარაიის პერანგი, ახალუხი, წინდები, ვერცხლის ქა-
მარი და სხვა.



სურ. 19. ებრაელთი კიტანია გამოფენის ტანსაცმლის განცალებაში.

№ № 10, 11, 12 ქარადებში წარმოდგენილია ბაუმესი
ტანსაცმლის კომპლექსის ნაწილი, ქალის თავსართავები, სამ-
კიულები, ბალდადები, ჩიხსაკრავები, ქისები და სხვა, რომელიც მათ
თა ნაწილიც წარმოდგენს მესხეთ-ჯავახეთის ებრაელ ქალთ
ხელსაქმის ნიმუშებს.

საქართველოში უძველესი დროიდანეთ

15. ქართული მოსახლე ებრაელები ქართველთაგან არა-
ლითერაციურის ვითარ დევნიასა და შევიწროებას არ გა-
კლასიკოსები სა- ნიციდნენ, რაც სხვა ქვეყნებში ესოდენ
ქართველოს ებ- ხშირი მოვლენა იყო. საქართველოს ებრაე-
რაელთა შესახებ. ლები ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისაგან—
ქართველებისაგან—იზოლაციაში არ იმყო-

ფებოდნენ. ევროპასა და სხვა ქვეყნებში ძელთაგანე მოსახლე
ებრაელებისაგან განსხვავებით ისინი აქ თავიანთი სოციალუ-
რი თანამოძმების ყველა უფლებით თანაბრად სარგებლობ-
დნენ. ხოლო 1801 წლის შემდეგ (ე. ი. რუსეთთან საქართვე-
ლოს შეერთების დღიდან) რუსეთის თვითმპურობელობის
ანტისემიტური პოლიტიკის შედეგად ქართველი ებრაელები
უფლებრივად შეიძლედებონ შეიქნენ. ქართველთა და ებრაელ-
თა მრავალსაუკუნეობრივმა ძმურმა ცხოვრებიმ და მეგობრო-
ბამ გამოხატულება პოვა ქართველ გამოჩენილ შეერალთა და
საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში და ებრაელთა მდევნე-
ლებისადმი შათს ღრმა პროტესტებში.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ ქართულ
ენაშე დაწერილი პირებელი წიგნი ექვთინის ზაქარია ჭიჭინაძეს,
„ქართველთ ისრაელი საქართველოში“, გამოცემული 1904
წელს, რომელიც გამოფენის ოცდამეშვიდე სტენდზე წარმო-
დგენილია მხატვრულად გაკეთებულ დიდ ფორმატის წიგნად.

ეს წიგნი წარმოდგენს ძირითადად ქართულ საისტორიო
მასალებზე დაყრდნობით საქართველოს ებრაელთა შესახებ
მოყლე ისტორიულ ნარკვეს, სადაც მოცემულია საქართვე-
ლოს ებრაელთა ცხოვრების ზოგადი დახასიათება და ზო-
გიერთი მასალა ამ ებრაელთა ქართულის თავისებურება-
თა, მათი ზნე-ჩვეულებისა, სარწმუნოებისა, განათლების, ჩაუ-
შულობის, საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებისა და

სხვათა შესახებ. წიგნშია იმ დროს დადგებითი როლი შეასრულა
ქართველ ებრაელთა გათვითცნობიერების საქმეში.

გამოყენის მეთვრამეტე სტენდი მიძღვნილია დიდი ქართველთა
ველი პოეტის აკაკისაღმი ამ სტენდზე ნაჩენებია, რომ აკაკი წე-
რეთლის კალამს ეკუთვნის „დაეითის გვირგვინი“, რომლის
სიუკირადაც ქართველ ებრაელთა ზეპირსიტყვაობიდან იღებუ-
ლი ლეგენდაა გამოყენებული.

„დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თა-
ვისუფლად ამოისუნთქავთ“ მიმართა აკაკიმ ონის ებრაელებს
იმ სიტყვაში, რომელიც მან თავის იუბილეზე ჭარმოსთვა. სამა-
გიეროდ ქართველ ებრაელებსაც დიდი ქართველი პოეტი ძა-
ლიან უყვარდათ და მას დიდ პატივს სცემდნენ. ეს პატივისცემა
და სიყვარული გამოხატულია აკაკისაღმი ონის ებრაელთა
მიერ მიმართულ შემდეგ მისალმება-მილოცვაში.

„დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი თქვე-
ნის ჩანგის ელერით დამტკბარი, ამასთანავე უნდა /გაუწყოთ,
რომ დღეს ჩვენც, ქართველი ებრაელები დიდის აღტაცებით
და გამოუთქმელი სიყვარულით მოგვებებით ჩვენ ქართველ
ძმებთან და მეზობლებთან ერთად, თქვემს ჩვენში მობრაძნე-
ბას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო! ჩვენ ებრაე-
ლების და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს
ერთშანოւთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ
ვალდებულად ვთვლით ჩვენს თავს, რომ ქართველ ძმებთან ერ-
თად, ჩვენ მეზობლებთან მონაწილეობა მიგველო ამ თქვენს
ბელნიერ დღეობაში და ზემოში... ამასთანავე ნიშნად პატივის-
ცემისა გთხოვთ მიიღოთ ეს პატარა ძლევნი, მუდამ სახეში
იქონიეთ, რომ ჩვენ ებრაელებსა და ქართველებს შორის არ
ყოფილა განსხვავება, არ არის და არც იქნება, გარდა სარ-
წმუნოებისა“.¹⁾)

ოცდამეცხრე სტენზე, რომელიც მიძღვნილია ილია ჭავ-
ჭავაძისაღმი, ვკითხულო ბთ, რომ XIX საუკუნის საქარ-
თველოს უდიდესი მწერალი ილია ჭავჭავაძე ებრაელთა შესა-
ხებ წერდა: „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯვე-
ლი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაპირდისა.

¹⁾ „სახალხო განვითი“, 1912 წ. 8-17 № 694.

ამ ოდესში დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედნი ხელო-
დან გამოსხლიტა სამშობლო და ოფიციალურობა და განაბრუნვა
ნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე, ჩაათვესლა უცხო კულტურული
ნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯეა და
წვალება“.¹⁾



სურ. 20. აკაკისამდი მიძღვნილი კუთხე გამოფენაში.

კერძოდ ქართველ ებრაელთა შესახებ ილია ჭერია: „ძვი-
რად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც
ქართველებს შეეთვისნენ. ჩვენდა სამწუხაროდ არ ვიცით, რა
უფლება ჰქონდათ ჩვენში უწინდელ დროს ურიებს. შეეძლოთ
თუ არა ადგილმამცლის შეძენა, ჰქონდათ თუ არა ნება ყველ-

¹⁾ ი. ჭავჭავაძე, ებრაელთა საკითხებზე: ნაწერების სრული კრებული
პაკლე ინგოროვებას და ალ. აბაშელის რედაქციით. ტ. III, ცხოვრება და
კანონი, თბილისი 1928 წ., გვ. 307.

გან დასახლებისა, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ უკანასკნელ დროს
და ეხლაც არც ერთ იმ უფლებას არ იყვნენ მოქლებული, რომ
მელიც ქრისტიანებს პქნონდათ მინიჭებული¹⁾



სურ. 21. ილია ჭავჭავაძისადმი
მიძღვნილი კუთხე გამოფენაში

ა თუდამეათე სტენდზე აღნიშნულია ის, რომ XIX საუ-
კუნის მეორე ნახევრის ქართველი პოეტი იროდიონ
ევდოშვილი ზოგად ებრაულ საკითხებზე წერს მაღალი
პოეტური ღირებულების მქონე ისეთ ლექსებს, როგორიც
არის: „ისმინე ერო ისრაელისა“, „ტირილი ებრაელებისა“,
„მამულიდან“... და რომ ამ ლექსებში ქართველ ებრაელთა
თვითშეგნება თვითგამორჩევის საქმეში უაღრესად დადგებათ
რომლი ითხმაშა.

¹⁾ „ურიების ბედი“, უურნალი იყერია“, 1881 წ., გვ. 138.

ამავე პერიოდის პირველშა ქართველშა რომანისტმა გილტერი წერეთველშა ებრაელთა ყოფაცხოვრების უმთავრესად ეკონომიკურად ური მხარის გასაშექმნად დაწერა რამდენიმე მოთხოვნა, სახელდობრი: „საჩინო“, „დალალ-აზნაური“, „ედიშარ ქელბაქიანი“ და „ათი მცნება“.

ამავე ხანის გამოჩენილი პოეტი და პროზაიკოსი ანტონ ფერცხლაძე ებრაელთა ბიბლიური ხანის გმირის, ებრაელი ქალი ივდითის შესახებ წერს პიესას სათაურით „ასული ისრაელისა“.

პოეტებთან და მწერლებთან ერთად ებრაელთა საკითხისადმი გულთბილ დამოკიდებულებასა და დიდ ინტერესს იჩინდნენ ქართველი მეცნიერნი და საზოგადო მოღვაწენიც. ქართული პედაგოგიის მამამთავრის, ლიდი საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის კალამს ებრაელებისადმი სიმპატიით გამსჭვალული არა ერთი წერილი კუთვნის. ასე, მაგალითად, 1901 წელს „ივერიძე“ № 20-ში გოგებაშვილი წერდა:

„საქართველოში ძელთაგანვე ცხოვრობენ ურიები, საშუალო საუკუნოებშიაც კი არ დასდგომიათ გაჭირები ქართველთაგან და ურიების დარჩევა, რაც ასე ხშირად იყო და ეხლაც არის ეკრობაში, არასოდეს არ მომხდარა საქართველოში. ებრაელებს საქართველოს მეფენი დიპლომატიურ საქმეებსაც კი მიანდობდნენ ხოლმე¹⁾.“


გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსე ჯანაშვილის მდიდარ მეცნიერულ მემკენიდრეობაში მოიპოვება მთელი რიგი სტატიები, სადაც გაშუქებულია ზოგიერთი საკითხი საქართველოს ებრაელთა ისტორიიდან და სხვა.

III. სოციალისტური აღმახვიალობა

განყოფილება იწყება მხატვარ შოთა მეტრეველის მიერ ზეთის სალებაეებით დახატული დიდი სურათით, რომელზედაც ნაჩერენებია სოციალისტურ შრომისა და განათლებაზე დაფუძნებული, ქართველ ებრაელთა ბეჭნიერი ყოფა. სურათის ცენტრ-

¹⁾ იაკობ გოგებაშვილი, ქართველთა სწავლა-განათლების წიგნი, დაწერილი პარიზის გამოფენისათვის, განვეთი „ივერია“, 1903 წ., № 2.

ში ებრაელი კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო დოკულაცით
დატვირთულ ურემს მხიარული, ქმაყოფილი და გამრჩუინებული იყო
ლი სახით მოჰყებიან. სურათის მარცხნა მხარეს ებრაელი
მუშები სამეშაოს დამთავრების შემდეგ ფამრიკიან შინ
ბრუნდებიან. ხოლო მარჯვენა მხარეს სტალინური გულ-
თბილი მზრუნველობის ქვეშ აღზრდაში მყოფი ჩენი-
ერი თაობის ებრაელი ბავშვები სწავლის დამთავრების შემდეგ
სკოლიდან შინ ბრუნდებიან.



სურ. 22. „შორომია და განათლება“—პარო
შოთა მეტრეველისა

16. საკოლმეურ- განყოფილება იწყება ამონაწერით:
ნეო მშენებლობა „წინადადება მიეკეს სომხეთის სსრ და სა-
ქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულე-
ბელ კომიტეტებს შეადგინონ შესაბამისი რესპუბლიკური კო-
მისიერი მშენებელ ებრაელთა მიწათმოწყობისათვის“ (ა/კ. კა-
კის პრეზიდიუმის 1928 წლის 30 აპრილის დადგენილება № 8
ოქმიდან).

წემდგომი ორგანოების აღნიშნული დადგენილების მოყვა-
ნის შემდეგ გამოფენაში ნაჩენებია დადგენილების ცხოვრე-
ბაში პრაქტიკული განზორციელება, რის შედეგადაც შეიქმნა

საქართველოში ებრაელთა კოლმეურნეობანი, რომელთა გან
ლაგება საქართველოს ტერიტორიაზე გამოფენაში სქემიტური
რუკითაა წარმოდგენილი.



სურ. 33. ქართველი ებრაელი კოლმეურნე (კოლმეურნეობა „შიომღელი გორა“), 1947 წ.

აქვთ მოცემული დიაგრამები, სქემები, კარტოგრამები, ფოტო დოკუმენტები და მხატვრულ-სიუჟეტური სურათები ებრაელ კოლმეურნეოთა და ებრაელ კოლმეურნეობათა ყოველ-წლიური ზრდის, სასოფლო-სამეურნეო კულტურის და კოლ-მეურნეოთა შეძლებულობის ზრდის შესახებ ნათელ სურათს იძლევიან.


ფოტო-სურათების სერიითა და რიგი ფერწერული ნახატებით ნაჩერებია ებრაელთა კოლმეურნეობა „წითელი გორის“ მშენებლობის დასაწყისი პერიოდის შრომის პროცესი და სპეციალური კარტოგრამებით ამ კოლმეურნეობის მიწის საერთო ფართობის, კოლმეურნეობის მიერ გამომზრდებული შრომა-დღებისა და შემოსიველის ზრდა.

მხატვარ შალვა აბრამიშვილის სურათი „თამბაქოს რჩევა ებრაელთა კოლმეურნეობაში“ გვიჩვენებს „წითელი გორის“ კოლმეურნე ებრაელების საკოლმეურნეო შრომის პროცესს და მდიდარ ცხოვრებას.



სურ. 24. „თამბაქოს რჩევა“
სურათი შალვა აბრამიშვილისა.

„წითელი გორის“ საკოლმეურნეო და სახოვალოებრივ
ცხოვრებაში ეპრაელი კოლმეურნე ქალის მონაწილეობა ნაჩვევათთვე
ნებია ძელი ოჯახური წყობისაგან ქალის განთავისუფლებაში
შეტად ძლიერი ხელშემწყობი საშუალებების—საყოფაცხოვრე-
ბო დაწესებულებების (საბიგშეო ბაგებისა და ბალების) ჩამო-
ყალიბებისა და ზრდის ფონზე.



სურ. 25. საბაგშეო ბალი კოლმეურნეობა „წითელ გორაში.“

განყოფილება იხურება ეპრაელთა კოლმეურნეობაში კულ-
ტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლის, კლუბის
კინო-თეატრის) შესახებ მოცემული ფორმოსურათებით და ნა-
ხულებით.

17. მრეწველობა ეს ქვეგანკოფილება (სტენდი ოცდამეთორ-
და კულტურული მეტე) იწყება საქართველოს სახეომისაბჭოს
აღმშენებლობა 1929 წლის 25 მარტის დადგენილებით: „ეპ-
რაელთა მოსახლეობის ულარიბესი ნაწილის
ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, სადაც

ნათქვამია: „ებრაელთა მოსახლეობის ულარიბესი დეკლასირებული ნაწილის ქარბი მუშახელის საზოგადოებრივიად სასამართლოს გებლო შრომაში ჩაბმის მიზნით საქიროდ ჩაითვალოს:

ა) წინადადება მიეცეს ს. მ. უ. ს.—მოაწყოს სამოქალაქო ტიპის დასახლებულ პუნქტებში ულარიბეს ებრაელთა ჭრიდან საწარმოო სააღმშენებლო არტელები (სახერაზო, სიმკერვალი, საფურგლო, სიმღებრო და სხვა).

ბ) წინადადება მიეცეს სმუს და მ. ს. კ.-ს გამომუშავებული იყოს კონკრეტული გეგმა ებრაელთა მოსახლეობის მშრომელი ნაწილის ჩაბმისა არსებულ და ახლად ამუშავებულ დაწესებულებებში (მაუდის ქარხანა, ტრამვაი, ძაფსახევეები ფაბრიკები და სხვ.). მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება ახალგაზრდობას, დაწესდეს მათთვის ჯავშანი და მომზადებული იყოს სათანადო კურსებში და პროფესიონალებში არა ნაკლები 300 ებრაელისა, უპირატესად ახალგაზრდათა რიგებიდან”.

მხატვრულად შესრულებული დიაგრამებით და კარტოგრამებით ნაჩვენებია ამ დადგენილების ცხოვრებაში განმორციელება, ებრაელთა ფართო მასების მთლიანად საზოგადოებრივი და სასარგებლო შრომის რელსებზე გადაყვანა მრეწველობასა და ტრანსპორტზე, ქართველ ებრაელ მუშათა რიცხვის ზრდა. ფოტო-სურათებით და ფერწერული ნახატებით ნაჩვენებია 1928 წელს, მთავრობის დადგენილებით დაარსებული სრულიად საქართველოს ლარიბ ებრაელთა დამსმარე კომიტეტის—„საქართველოს ლარებკომის“ საწარმოები და ამ კომიტეტის დაწესებულება-საწარმოების სისტემაში მომუშავე ქართველი ებრაელები.

საქართველოს სახკომსაბჭოს 1930 წლის ამავე დადგენილებაში ნათქვამი იყო: „განსახეობში მიიღოს ზომები ლარიბ ებრაელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დაყენების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის, კერძოდ:

ა) სკოლის ისაკის ებრაელთა ბავშვები მაქსიმალურად ჩაბას სკოლის ქსელში,

ბ) კომპაქტურად დასახლებულ ებრაელთა საცხოვრებელ აღგილებზე მოაწყოს ქოხ-სამყითხეველოები,

გ) საშუალო და უმაღლეს სკოლებში ებრაელ მოსწავლეთათვის განკუთვნილი სტიპენდიები გაადილოს“.



მოყვანილი დადგენილების ცხოვრებაში გატარების ჭრიდებული გად სწრაფად ამაღლდა ქართველ ებრაელთა კულტურული დონე, რაც გამოფენაში ნაჩერებია სტატისტიკურ მასალებზე ავებული, მხატვრულად შესრულებული დიაგრამებით, ფოტოებით და ნახატებით.

შრომის რელსებზე გადასცლის შედეგად ქართველ ებრაელთა ცხოვრების ეკონომიკურად გაუმჯობესება და კულტურული აყვავება მაღლე თვალსაჩინო შეიქმნა.

1933 წლის 30 სექტემბერს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოქვენილი მოღვაწე ამხანგი ლ. პ. ბერია საქართველოს ლარიბ ებრაელთა დაშმირე კომიტეტის ასახვების 5 წლისთავისადმი მისალმებაში წერდა: „დარწმუნებული ვარ, რომ შემდგომში თქვენ მოიპოვებთ კიდევ უფრო მეტ მიღწევებს საქართველოს ლარიბ ებრაელთა ფართო მასების მატერიალურ-სიყოფაცხოვრებო და კულტურული აღმავლობის გაუმჯობესების საქმეში“.

33-ე სტენდზე წარმოდგენილი მასა-

18. ფაშიზმი, ლი იწყება ექსპლიკაციით, სადაც ალ-როგორც პირწანიშნილი აგრესიული აგრესი საბჭოთა კულტურის ხალხები მშვიდომიანი შრომის პისია და კაცობრივი სოციალიზმის გამარჯვებას ზეირითობის უბორო-მობდნენ, ფაშისტური ურდოები ჩენი ქვეყნის მტერი. ნისა და სხვა მშვიდომისმოყვარე ხალხთა დამონებისა და მსოფლიო აგრესის მოწყობის გეგმებს ამზადებდნენ“. ამის შემდეგ ნაჩერებია მხატვრული დიაგრამები იმის შესახებ, რომ შიგნით გერმანიაში მშრომელთა გალატაკების ხარჯზე ფაშისტები გაშმაგებით ზრდიდნენ თავიანთ შეიარაღებას, აწარმოებდნენ მოწინავე მუშების და მშრომელი ინტელიგენციის დევნა-დაპატიმრებას, რომ ამავე დროს დაიწყო ებრაელთა დევნა-დაპატიმრებანიც, რასაც ადამიანთა დამონებისათვის, საფუძვლად ედო გერმანელ „მეცნიერთა“ მიერ შეთითხნილი რასიული თეორია. მაღლე ყოველი „არაარიული“ სისხლის მქონენი, კაციჭამია ფაშისტების მიერ კანონგარეშე იქნენ გამოკენდებული და დაიწყო ებრაელთა დარბევანი, რომელიც გამოფენაში ნაჩერებია მხატვარ

ქროტეოვის სურათით: „ებრაელთა პოგრომი ფაშისტურ გერ-
მანიაში“.

მხატვარი ირინა შტერნბერგის სურათი „ფაშისტი მხეცები და
ნათელჲყოფს იშას, რომ ფაშისტები სრულიად უდინაშაულო
ბაეშეებსაც-კი უმოწყალოდ ჩლეტენენ.“

ფაშისტი ბარბაროსების მიერ გერმანიაში ებრაელთა
აწიოკება-განიდგურებამ მთელი ქვეყნის კულტურული და
მუსიკური ხალხის აღშოთოება და ზიზღი გამოიწვია. გამო-
უნაში მოცემულია მთელი ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს მოწი-
ნავე ადამიანების გულისყრობა და პროტესტი ჯერ ისტო-
რიაში არ ნიხული იმ მხეცობის წინააღმდეგ, რომელიც სის-
ხლისმსმელმა ფაშისტებმა ებრაელთა მიმართ გამოიჩინეს.

სპეციალური რუკით ამ ქვეგანყოფილებაში ნაჩვენებია, რომ
გერმანელი ფაშისტების ძალადობა მათი ქვეყნის ფარგლებს
გასცილდა, რომ ფაშისტურმა გერმანიამ თანდათან დაიმორ-
ჩილა და დაიმონა ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, საფრანგეთი,
ნორვეგია,—მთელი დასაცლელი ეკრანის კონტინენტური ნა-
წილი და სხვა ქვეყნები. ნაჩვენებია ფრანგ მალარიელთა შიმ-
შილი საფრანგეთში ფაშისტების ბატონობის დროს. პოლონე-
ლი გლეხების ტანჯეა ჰიტლერელთა მათრიაბის ქვეშ, „გერმა-
ნული წესრიგი“, დამონებულ ხალხთა პირუტყვებივთ „მოზი-
დვა“ საბარგო ვაკონებით საკონკრენტრაციო ბანაკებში, მათი
შეშაობის აუტანელი პირობები და სხვა.

ამ განყოფილების დასაწყისში, № 34

19. საბჭოთა სტენდზე, ლავგარდანის ზევით, დიდ ტი-
ხალხის დიდი ლოზე მოცემულია საბჭოთა კავშირის თავ-
სამამულო ოში. დაცეის კომიტეტის თავმჯდომარის ამხა-
ნაგი სტალინის პორტრეტი და საბ-
ჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის სხვა წევრთა პორტრე-
ტები.

ჰევეგანყოფილება იწყება 1941 წლის 21 ივნისს ამხანავ
პოლოტოვის მიერ რაღიოში წარმოთქმული შემდეგი სიტყვე-
ბით: „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქ-
ნება“, რის შემდეგ მხატვრული და ფოტო-სურათებით ნაჩვე-
ნებია ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა არმიის თავდაცებული და
გმირული ბრძოლის მომენტები, ნაჩვენებია ფრონტისა და

ზურგის მთლიანობა და გამარჯვების მოსაპოვებლად ხალხის
თავდაცემული შრომა. ნაჩენებია, თუ როგორ იშრდებოდა და
და ძლიერდებოდა ჩენი წითელი არმია და როგორ ანატეკუ-
რებდა იგი გერმანიის არმიას. ნაჩენებია მთელი მსოფლიოს
შეიდობისმოყვარე ხალხთა ჩენი ქვეყნისადმი ნდობა და
სიყვარული. შემდეგ კი ნაჩენებია წითელი არმიის მიერ
სტალინგრადთან გერმანული ფაშისტი მხეცისათვის ხერხე-
ბლის გარდატეხა.

20. კავკასიის
დაცვა. კავკასიის მთებთან მოსული მტრის
შეჩერებისა და განალგურების სტალინური
გეგმის განხორციელებას უშუალოდ ხელ-
მძღვანელობდა ამხანაგი ლავრენტი პავ-
ლეს-ძე ბერია.

ოცდამეთხუთმეტე სტენზე მხატვრული სურათებით,
ექსპლიკაციებით და ფოტოსურათებით ნაჩენებია კავკასიის
დასაცავად ქართველი ხალხის თავდაცემული ბრძოლები, მო-
ცემულია საქართველოს ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
მდივნის ამხანაგ ქ. ჩარქვებინის პორტრეტი, პორტრეტები ქარ-
თველი სახელოვანი მეომარებისა, საბჭოთა კავშირის გმირები-
სა და ქართველი გენერლებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ
ამ ბრძოლებში.

ოცდამეთხუთმეტე სტენზე წარმოდგენილია დიდ სამამუ-
ლო ომში ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებული
ქართველი ებრაელების პორტრეტები სათანადო ახსნა-განმარ-
ტებების მომცემი ექსპლიკაციების დართვით.

21. გამარჯვება. სორებმა იარალი დაყარეს, რაიხსტაგის
თავზე წითელი დროშა აფრიალდა.

გამოფენაში ოცდამეთხუთმეტე სტენზე ნაჩენებია ხალ-
ხის ამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და ზემით, იქვე
ნაჩენებია 1945 წლის 3 სექტემბერს იაპონიის იმპერიალიზმის
გამარჯვება და ამ გამარჯვების ზემით.

ამ ქვეგანყოფილებაში ოცდამეთვრამეტ
22. მეოთხე სტა- ტე სტენდზე ნაჩერებია სტალინური ხუთ-
ლინური ხუთ- წლიანი გეგმა. მხატვრული სურათებისა და დაბრივი
წლედი. კარტოგრამების სახით მოცემულია, საქარ-
თველის საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკის სახალხო მეურნეობის იღლვენისა და განვითარების
1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებ-
ლები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურულ იღმზე-
ნებლობაში, ჯანმრთელობის დაცვაში და სხვა.

დ ა მ ს მ ა რ მ გ ა მ თ ფ ვ 6 0 2 0

23. შოლომ 1946 წლის 13 მაისს 30 წელი შეს-
ალეიიხმი რულდა ახალი ებრაული ლიტერატურის
ფუძემდებლის, მშრომელი ხალხის საყვა-
რელი მწერლის შოლომ ალეიიხმის გარდაცვალებიდან.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მე-
ზეუმმა ეს თარიღი აღნიშნა შოლომ ალეიიხმისადმი მიძღვნი-
ლი სტაციონარული გამოფენის მოწყობით, სადაც ნაჩერებია
შოლომ ალეიიხმის ბიოგრაფიის მთავარი მომენტები.

შოლომ ალეიიხმა, რომელიც 1859 წლის 3 მარტს ქა-
ლაქ პერიასლავში დაიბადა, თავის ბავშვობა გაღარიბების
გზაზე დამდგარი ნახუმ რაბინოვიჩის ოჯახში გაატარა, პირ-
ველდაწყებითი სწავლა ებრაულ რელიგიურ სასწავლებელში,
ხედერში მიიღო. 1873 წელს შევიდა სამაზრო სასწავლებელში,
რომელიც 1876 წელს წარჩინებით დაამთავრა.

სასწავლო ასპარეზზე შოლომ ალეიიხმი გამოვიდა 1883
წელს და ოცდამეტი წლის განმავლობაში ბასრი კალმით
ხელში აღამიანის მიერ აღამიანის ჩაგვრა-ექსპლოატაციისა,
მეფის მთავრობისა, ბურჟუაზიისა და მათი უსამართლო კანონე-
ბის წინააღმდეგ იბრძოდა.

მისი ისეთი თხზულებანი, როგორიცაა „მენახემ მენდე-
ლი“, „ტევი მერძევე და მისი ქალიშვილები“, „სისხლიანი
ხუმრობა“, „ბაზრობიდან“, „იაქნეგოზი“ და სხვა, მრავალი
ხალხის ენებზეა გადათარგმნილი.

შოლომ ალეიხემის ცხოვრება და „შემოქმედება გამოფენა“-ში, ოცდამეცხრამეტე სტენლე ნაჩენებია იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფონზე, რომელ გარემოშიც შოლომ ალეიხემის მოღვაწეობდა. მხატვარ დაით გველესიანის მიერ შესრულებული რეპროდუქცია მაიმანის ნახატისა „ფრონტიდან დაბრუნება“ იმ მხეცობის ილუსტრაციას წარმოადგენს, რომელ-საც მეფის რუსეთი ებრაელთა მიმართ იჩენდა. ექსპლიკაციებით ნაჩენებია რუსეთის მეფეთა მიერ ებრაელთა საკითხის სრული უგულებელყოფა და მეფის რუსეთში ებრაელთა დაბრუნება.



სურ. 26. „ფრონტიდან დაბრუნება“. (ნახატი შოსე მაიმანისა, რეპროდუქცია დ. გველესიანისა).

გამოფენაში უხვად წარმოდგენილი ფოტოგრაფიული და მხატვრული სურათები ასახავენ შოლომ ალეიხემის ნაწარმოებთა ებრაულ თეატრებში გასცენირებას, ამ ნაწარმოებთა თარგმანებს სხვადასხვა ენაზე. იქეე წარმოდგენილი მასალები გვიჩვენებენ რუსეთის მოწინავე ადამიანების და „აზრთა მცყრობელის“ მაქსიმ გორკის შოლომ ალეიხემისადმი დიდ სიყვარულსა და მასთან მეგობრობას.

შოლომ ალეიხემს, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე გამოჩენილი მწერალი იყო, ეკონომიკურად ძალიან უკირდა. მუდმივი მიემა დაძაბულმა ზრომამ და მეფის რუსეთში გაბატონებულმა უსამართლო რევიმთა მისი ჯინმრთელობა გატეხა და მწერალი ჭლევით დაიყადა, მეფის რუსეთის უსამართლობისაგან გაქციული 1916 წელს ნიუ-იორქში გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი სიტყვა, მისი ანდერძი ხალხისაღმი ისეთივე დიდი სიყვარულით იყო გამსჭვალული, როგორითაც მთელი მისი შემოქმედებაა გამსჭვალული. თავის ანდერძში შოლომ ალეიხემი მოითხოვდა, რომ იგი დაემარხათ არა მდიდართა და გამედიდურებულთა შორის, რომლებიც მას სძაგლა და რომელთა წინააღმდეგ იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა, არამედ უბრალო ხალხს შორის, მუშებს შორის, რომელთა საკეთილდღეოდაც იღწოდა და რომლებსაც შოლომ ალეიხემი სიცოცხლის დროსაც ესოდენ ძლიერ უკვარდათ.

შ. კობოშვილი დაბადა 1871 წელს ქალ.

24. თეითნასწავლის ახალციხეში, ლარიბი ეპრაელის ოჯახში. ლი მსატვრის შა- მისი მამა იოსები იყო წერილი ვაჭარი, რო- ლის სურათების კომისა- ლელმაც მთელი თავისი ცხოვრება თითქმის „ყურბათობაში“ გაატარა. 8 წლის შალომი გამოფენა. ხედერში მიაბარეს, სადაც მას რელიგიური „ცოდნა“ უნდა მიეღო. შალომის ცოცხალი და მკვირცხლი ბუნება ხედერის სულისშემხუთავ გარემოსა და საშუალო საუკუნეობრივ „შინაგანაწესს“ ეერ შეეგუა და ხედერიდან გამოიქცა.

სახვითი ხელოვნება შალომს ბავშვობიდან იზიდავდა შავრამ მის სურვილს შობლების მატერიალურმა ხელმოქლეობამ და ძლიერმა ფანატიზმით ფრთხები შეუკვეცა.

1888 წლიდან იგი ახალციხესა და ბათუმში მოჯამიგირეობას ეწევა. 1908 წლიდან კი შეუა აზიასა, ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთში „ყურბათად“ დადის.

საქართველოში საბჭოთ ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი სახელმწიფო სხვადასხვა თრგანიზაცია-დაწესებულებაში მუშაობს.

შალომ კობოშვილმა 1937 წელს საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიწყო მუშაობა. მუზეუმში იგი

ხედებოდა მხატვრებს, მოქანდაკეებს და მათს მუშაობას და-
დის ინტერესით აღვენებდა თვალყურს. აქ 60 წლის მოხუცი
ბავშვობის დროიდან შემონახული თავისი სანატრელი სურვი-
ლის განხორციელებას შეუდგა. შალოშმა რამდენიმე სურათის
დახატვა სცადა, მისმა პირველმა ცდამ მხატვარ-სპეციალის-
ტებისაგან მაღალი შეფასება მიიღო.

ამის შემდეგ კობოშვილმა ხუთიოდე წლის მანძილზე 60-ზე
მეტი მცირე და დიდი ზომის სურათი დახატა. ზო-
გი ფანქრით, ზოგი აკეარელით და ზოგი ზეთის საღებავებით.



სურ. 27. ებრაელი ყმების გაყიდვა ფეოდალების მიერ.
მხატვარი შ. კობოშვილი.

ამ სურათებში იგი რეალისტური ცოცხალ და მხიარულ
ფერებში უმთავრესად ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა ძეველ-
სა და ახალ ყოფას გადმოგვცემს. მისი პერსონაჟები და მის
მიერ დახატული საგნები მკვეთროდაა მოხაზული და კონტრას-
ტული, კაშკაშა ფერებითაა შესრულებული.

პირველი სურათი, რომელიც შალოშ კობოშვილმა დახა-
ტა და რომელითაც უკვე მხატვართა ყურადღება მიიქცია, იყო
ფანქრით ნახატი სურათი „მოჯამაგირე ბიჭი“, სადაც შალოში

თავისი ცხოვრების მოჯამაგირეობის პერიოდს გამოხატავდა, როცა იგი „ხაზეინებისათვის“ შეალს ეზიდებოდა.

ამავე შელს შესრულებული დანარჩენი ოთხი სურათი მის მიერ მოჯამაგირეობის დროს ნახულსა და განცდილს გამო-
ხატავს: „ქუჩაში მოვაჭრე მეწვრილშანება“, „მექურტნეები“, „ლილახანა“, „ხელსაქმე“.



სურ. 28. აშელეტებით მოვაჭრე ებრაელი
მისიონერი. მხატვა. შ. კობოშვილი.

1938 წელს ქობოშვილი შავი მეტი გაბედულებით მუშაობს და მეტად სინტერესო ეთნოგრაფიულ სურათებს და წარადგენი რაის. ასეთებია მაგალითად, „მიკვე“, „მიკეში“ და ავადულებითი ქალი ექიმშაშთან“, „ბატონების წამლობა“, „ებრაელთა ქარტალი“ და სხვა, სადაც ებრაელთა წარსული ცხოვრების ჯვალა მხარუ მეტად დამაჯერებლად და ლამაზი და კოცხალი ფერებით არის მოცემული.

1939 წელს წარსული ყოფის ამსახველ სურათებთან ერთად, როგორიცაა „კორიკანა ქალები“, „საიკო“, „ფერხული“ „ქარავანი“ და ზოგიერთი სხვა, შალომ ქობოშვილმა დახატა ჩეკინი ახალი ყოფის ამსახველი თვალწარმტაცი სურათებიც: „ებრაელი კოლმეურნები მუშაობის დროს“, „ებრაელი კოლმეურნე ცოლქმარი მუშაობიდან შინ ბრუნდება“ და სხვ.

1940 წელს შალომ ქობოშვილის სურათების ფერები უფრო ძლიდარი და მიმზიდველი ხდება, მისი ტიპები უფრო დახვეწილი და უფრო მრავლის მთექმელია, მის სურათებშე უკვე ყოველი დეტალი კარგადა მოფიქრებული და ზუსტად შესრულებული, კარგიდ ირის გაღმოცემული პერსპექტივის, სიმეტრიის, შუქისა და ჩრდილის გრძნობაც. ამ წლის განვავლობაში ქობოშვილმა დახატა ისეთი სინტერესო სურათი, როგორიცაა „ნეცე“, რომლითაც იგი სრულიად სიმართლიანად საყოველთაო მოწონებას იმსახურებს. შალომ ქობიშვილი ახალი ყოფით თანდათან უფრო მეტად ინტერესდება და 1940 წელს ისეთ სურათებთან, როგორიცაა „მდიდარი ებრაელის ცოლი მიდის აბანოში“, „ებრაელთა კვარტალი ახალციხეში“, „ფინჯრაობა“ და სხვ., ხატავს სინტერესო სურათს „ებრაელი კოლმეურნების მიერ მოსავლის ჩაბარებას“, მაგრამ ულმობელი სიკედილი წყვეტს და აჩერებს ქობოშვილის შემოქმედებით, თუმცა მეტად მოქლეს, მაგრამ მეტად სინტერესო გზას.

კობოშვილის ნახატები გამოფენაში განლაგებულია ქრო-
ნოლოგიური პრინციპით, სათანადო ასსნა-განმარტების
მოცემით. შალომ კობოშვილის ბიოგრაფიის და დაკრძალვის-
შესახებ ფოტოდოკუმენტების დართვით.

შალომ კობოშვილის ნახატების განყოფილებას გამოფე-
ნაში ცალკე ოთახა აქვს დათმობილი.



სურ. 29. ნეფე, ნახატი შ. კობოშვილისა.

25. ბიბლიოთეკა მუზეუმს აქვს თავისი ბიბლიოთეკა, სა-
და ხელნაწერებ- დაც მუზეუმის მეცნიერული მუშაობი-
ბის არქივი. საოცვის საქირო რამდენიმე ითასი წიგ-
ნია, რომელთა შორის ყურადღებას
იპყრობს ჰებრაისტიკის საკითხებზე მრავალი უნიკალური, ძვე-
ლი წიგნი და ხელნაწერი, რომლითაც არა მარტო საქ. ებრაელ-
თა მუზეუმის მეცნიერი მუშაკები სარგებლობენ, არამედ სა-
ქართველოს მრავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება
და ზოგჯერ რუსეთის სამეცნიერო დაწესებულებანიც.

მუზეუმს აქვს ხელნაწერი დოკუმენტების მდიდარი არქი-
ვი, რომელთა სისტემატური შესწავლა-გამოქვეყნება ხდება
მუზეუმის მეცნიერულ შრომებში.

რედაქტორი ა. კრისტოფი

ზაღვა ჭარმოებას 29/XII 1947 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/V
1948 წ. ქაღალდის ზომა 60×84 , წიგნის ანაზურაშის ზომა $6 \times 9,5$. სასტა-
მბო ფორმათა რაოდენობა 3,5. სტამბის შექვეთა № 1648.
ტირაჟი 1000. ურ 02638

პოლიგრაფური მშენებისა და კომუნიკაციის სამსახურის
ლენინის ქ. № 28.

